



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 166/18<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*მარიტა გორგილაძე (სტუდენტი)*

### ფაქტები

2015 წლის 16 თებერვალს შპს-ს დირექტორმა უფლებამოსილება მიანიჭა ადვოკატს დაეცვა შპს-ს ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, მინდობილობა კვლავ გაფორმდა 2017 წლის 13 მარტს. ადვოკატმა მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რაზედაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უარი უთხრა. ადმინისტრაციულ საქმეზე წარდგენილი სარჩელიდან დგინდება, რომ შპს-მ რომლის ინტერესებსაც აღნიშნული ადვოკატი იცავდა, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით. მოსარჩელის წარმომადგენელმა 2015 წლის 26 ივნისს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც დაკმაყოფილებოდა ადმინისტრაციული საჩივარი აღსრულების განახლების შესახებ. სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმებითა და სხდომაზე გამოძახებისა და გამოუცხადებლობის შესახებ ხელწერილებით დასტურდება ადვოკატის მონაწილეობა 2015 წლის 24 აპრილს, 26 ივნისს, 28 სექტემბერს, 2016 წლის 06 იანვარს, 17 თებერვალს, 2017 წლის 06 სექტემბერს, 20 სექტემბერს მოსამზადებელ სხდომებში. სასამართლოს 2017 წლის 1 ნოემბრის განჩინება, რომლის მიხედვითაც შპს-ს საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა სარჩელის დაუშვებლობის მოტივით, რაზედაც ადვოკატმა კერძო საჩივარი შეიტანა. კერძო საჩივარი სასამართლომ განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

### პროცესუალური ისტორია

კლიენტმა მიმართა ეთიკის კომისიას ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მომსახურების საზღაურის სახით გადახდილი თანხის სრულად დაბრუნების მოთხოვნით. კომისიამ დაადგინა, რომ ქმედება განხორციელებული იყო 2015-2017 წლებში და შესაბამისად დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული.

### სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაცვის მიზნით განახორციელა რიგი მოქმედებები: მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, საქმეს აწარმოებდა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, ადვოკატი მონაწილეობდა სასამართლო განხილვებში. მხოლოდ, ის ფაქტი, რომ საქმეზე არ დადგა კლიენტისთვის სასარგებლო შედეგი, არ გულისხმობს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მომსახურებას. საპროცესო კოლეგია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დარწმუნდა, რომ ადვოკატმა დაარღვია საადვოკატო მომსახურების კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად გაწევის ვალდებულება.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5d2f34903c361.pdf/166.18%2027.05.2019%20ar%20agdzvra.pdf>

საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ადვოკატი პერიოდულად არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ და არ იჩენდა ინიციატივას კლიენტის საქმესთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის მიზნით. კოლეგიამ იმსჯელა აპეკ-ის 8.6 შესაძლო დარღვევაზე. ეთიკის კომისიამ განმარტა რამდენად მნიშვნელოვანი იყო ადვოკატის კომუნიკაცია კლიენტთან. თავად საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ მას ჰქონდა კომუნიკაცია ადვოკატთან. ადვოკატი ადასტურებს, რომ მას ძირითადად კომუნიკაცია ჰქონდა არა საჩივრის ავტორთან, არამედ კლიენტის უფლებამოსილ პირთან, რომელიც არის საჩივრის ავტორის მეუღლე. კომისიას არ ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია გართულებული იყო და კლიენტს არ ჰქონდა ინფორმაცია საქმის მსვლელობის თაობაზე. პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატს გადაუხადა 1200 ლარის ოდენობით მომსახურების საზღაური, საიდანაც საჩივრის ავტორი ითხოვს 800 ლარის დაბრუნებას ვინაიდან ადვოკატს არ გაუწევია მიღებული თანხის შესაბამისი მომსახურება, ეთიკის კომისიამ იმსჯელა აპეკ-ის 8.15 შესაძლო დარღვევაზე. ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ კლიენტისგან მიიღოს ჰონორარი, რაც პროპორციულად უნდა იქნეს განსაზღვრული საადვოკატო მომსახურების მოცულობასთან. ჰონორარის ოდენობა წინასწარ უნდა იყოს ცნობილი კლიენტისთვის, ვინაიდან მას უფლება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია ადვოკატის მიერ გაწეული თითოეული მომსახურება რა ოდენობის თანხასთან იქნება დაკავშირებული.

### **დასკვნა**

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვერ დგინდებოდა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. ეთიკის კომისიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დაადგინა ადვოკატთა შესახებ კანონის 5ა მუხლის, 6.2 მუხლის, აპეკ-ის 8.6 და 8.15 მუხლების დარღვევა და გადაწყვიტა არ აღედრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ.